



მესამე სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმი

თარიღი: 31 იანვარი, 2014 წელი

დრო: 15:00 – 17:00 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ნინო ჩხოზაძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა (თანაკოორდინატორი)
2. თამაზ ვაშაკიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი (თანაკოორდინატორი)
3. ზურაბ ერისთავი - საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (საგანგებო დავალებათა ელჩი)
4. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
5. გიორგი მუხიგულიშვილი - მსოფლიო გამოცდილება საქართველოსთვის
6. დავით ცისკარიძე - საერთაშორისო ბიზნესის და ეკონომიკური განვითარების ცენტრი
7. ანზორ დუნდუა - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
8. ნუგზარ უფლისაშვილი - საქართველოს ენერგო-რესურსების ეფექტურად გამოყენების ასოციაცია
9. ნანა მეფარიშვილი - ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტი
10. თამარ ანთიძე - ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო

შეხვედრა გახსნა ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა სტუმარი საგარეო საქმეთა სამინისტროდან, საგანგებო დავალებათა ელჩი. შეხვედრის ძირითადი ნაწილის დაწყებამდე ჯგუფის წევრებმა სტუმარს მოკლედ წარუდგინეს თავიანი ორგანიზაციების მიზნები და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

საგანგებო დავალებათა ელჩმა დამსწრეებს გაცნო თავისი ფუნქციები და მოვალეობები, ისაუბრა ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს სამომავლო გეგმებზე. ელჩმა აღნიშნა, რომ თანამდებობაზე გასული წლის ოქტომბერში დაინიშნა, ენერგოუსაფრთხოების თემაზე მუშაობა კი ნოემბრიდან დაეწყო. საგანგებო დავალებათა ელჩის თანამდებობის შემოღება განაპირობა იმან გარემოებამ, რომ ბოლო პერიოდში ყველა დიდი საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ენერგოუსაფრთხოებას, აღნიშნული თემატიკა კი გაფანტულია საგარეო საქმეთა სამინისტროს რამდენიმე დეპარტამენტში. კერძოდ, ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი მუშაობს გაეროს სპეციალიზირებულ ორგანიზაციებთან და პროგრამებთან, ევროპულ საქმეთა დეპარტამენტი, რომელიც მუშაობს სუამის ფარგლებში თანამშრომლობაზე ეხება ენერგეტიკულ კომპონენტსაც, ევროინტეგრაციის დეპარტამენტში საკმაოდ დიდი სეგმენტი ეთმობა ენერგეტიკის თემას გარემოს დაცვასთან ერთად. საგარეო საქმეთა სამინისტროს მიზანია შექმნას კოორდინირებული მუშაობისთვის ჯგუფი, რომელიც გააერთიანებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ დეპარტამენტს. გარდა ამისა სამინისტრო ცდილობს ჩამოაყალიბოს მჭიდრო თანამშრომლობა სამთავრობო სტრუქტურებთან, ენერგეტიკისა და ეკონომიკის სამინისტროებთან, ნავთობისა და გაზი კორპორაციასთან. საგანგებო დავალებათა ელჩის აზრით, საჭიროა უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარება საექსპერტო წრეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, კვლევით და საუნივერსიტეტო ცენტრებთან, რომლებიც ამ თემებზე წლების განმავლობაში მუშაობენ და დიდი ცოდნა და გამოცდილება აქვთ დაგროვილი.

საგანგებო დავალებათა ელჩის თქმით, პრობლემაა ის, რომ ქვეყანას არ აქვს დარგის განვითარების კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკა, არ არის შექმნილი სტრატეგიული დოკუმენტები, არ არსებობს სამოქმედო გეგმა. შესაბამისად, აუცილებელია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორის ერთიანი, კოორდინირებული მუშაობა ამ მიმართულებით. ელჩის თქმით, მესამე სამუშაო ჯგუფთან შეხვედრის მიზანი არის სწორედ არასამთავრობო სექტორის უკეთ გაცნობა და სამომავლო თანამშრომლობის შესაძლებლობების განხილვა.

ამის შემდეგ შეხვედრა დისკუსიის რეჟიმში წარიმართა. ჯგუფის წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ ისინი მიესალმებიან საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივას საგანგებო დავალებათა ელჩის დანიშვნასთან დაკავშირებით და მზად არიან აქტიური თანამშრომლობისთვის. დამსწრეებმა იმედი გამოთქვეს, რომ ელჩი შესძლებს იყოს შუამავალი მთავრობასა და სამოქალაქო სექტორს შორის, რადგან არსებობს მთავრობასთან კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა. საგანგებო დავალებათა ელჩის თქმით, ის ყველანაირად ეცდება დაეხმაროს სამოქალაქო საზოგადოებას თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. თანაკოორდინატორმა ელჩს აცნობა, რომ 2013 წელს მესამე სამუშაო ჯგუფმა მოამზადა ოთხი პოლიტიკის დოკუმენტი.

დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ სამიდივონო საგანგებო დავალებათა ელქს გადაუზავნის აღნიშნულ დოკუმენტებს.

ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენელმა ჯგუფის წევრებს გააცნო პროექტი ენერგოდამოუკიდებელი სახლის მშენებლობის შესახებ. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, 2013 წელს ევროკავშირმა გამოაცხადა საგრანტო კონკურსი ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით. კონკურსში მონაწილეობის მიღება შესაძლებელი იყო მხოლოდ რეალური სამშენებლო პროექტით. ეკონომიკის სამინისტროს დახმარებით ორგანიზაციის წარმომადგენმა გააკეთა საგრანტო განაცხადი. პროექტმა წარმატებით გაიარა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი, მესამე ეტაპი გაიმართება აპრილში. პროექტის განხორციელებაში მონაწილეობას იღებს საქართველოს მწვანეთა მოძრაობა და სტუდიო 4. პროექტი გულისხმობს ენერგოდამოუკიდებელი ანუ ისეთი სახლის მშენებლობას, რომელიც არ მოიხმარს ენერგიას გარედან. ჰელსინკის მოქალაქეთა ასამბლეის საქართველოს ეროვნული კომიტეტის წარმომადგენლის თქმით, მსგავსი სახლი საქარველოში არ არსებობს და ეს იქნება პირველი პრეცედენტი.

სახლის მშენებლობის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 1 მილიონ ევროს. ევროკავშირი აფინანსებს საჭირო თანხის 80%, დანარჩენი 20% დაფარვა საჭიროა თანამონაწილეობით. საგრანტო განაცხადის მომზადების დროს ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებელია სამინისტრომ გამოყოს მიწის ნაკვეთის უფასოდ. პროექტის დასრულების შემდეგ მისი ღირებულება 3 მილიონი ევრო იქნება. სახლის საერთო ფართი შეადგენს 2 ათასი კვადრატულ მეტრს. ის განკუთვნილი იქნება ენერგოეფექტურობისა და გარემოს დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომელთაც არ ექნებათ არც ფართის და არც ელექტროენერგიის გადასახადი. ორგანიზაციების ფინანსური შენატანი სახლის საერთო ღირებულებაში იქნება მათ საკუთრებაში არსებული ავეჯი და ტექნიკა. სახლში იფუნქციონირებს სტუდენტთა მოსამზადებელი ცენტრი, რომელიც მოამზადებს არქიტექტურისა და სამშენებლო ფაკულტეტების სტუდენტებს. მოეწყობა ასევე თანამედროვე ტექნოლოგიების შოურუმი. ორგანიზაციის წარმომადგენლის თქმით, კონკურსის მესამე ეტაპზე საჭიროა იმის დადასტურება, რომ მთავრობა და არასამთავრობო სექტორი ფინანსურ თანამონაწილეობას მიიღებს სახლის მშენებლობაში. ამისათვის საჭიროა გარკვეული დოკუმენტაციის მომზადება, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან აქტიური კომუნიკაცია.

შეხვედრის ბოლოს თანაკოორდინატორმა დამსწრეებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცი 27 იანვარს გამართული საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის შესახებ. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს პლატფორმის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხზე. გადაწყდა, რომ წესდება თავმჯდომარის მიერ შეტანილი ცვლილებებით გადაიგზავნება საბჭოს წევრებთან და ერთი კვირის განმავლობაში მათ ექნებათ შესაძლებლობა მოამზადონ შენიშვნები და კომენტარები, რომელთა განხილვა მოხდება საბჭოს შემდეგ შეხვედრაზე. თანაკოორდინატორებმა წესდება გადააგზავნეს ჯგუფში და ჯგუფის წევრებს შეეძლებათ პირდაპირ სამდივნოს გაუგზავნონ თავიანთი შენიშვნები და მოსაზრებები.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ახალი ორგანიზაციების მიღების საკითხზე. გადაწყდა, რომ მსურველთა განაცხადები განსახილველად გადაიგზავნება საკოორდინაციო საბჭოში, შემდეგ შეხვედრაზე კი მიიღებენ გადაწყვეტილებას გაწევრიანებასთან დაკავშირებით. თანაკოორდინატორებმა წამოაყენეს წინადადება, რომ მესამე სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაციები მოვიდნენ შეხვედრაზე და ჯგუფის წევრებს წარუდგინონ მოკლე პრეზენტაცია იმის შესახებ თუ რატომ სურთ მესამე ჯგუფში გაწევრიანება. დამსწრეები შეთანხმდნენ, რომ ამ წესით მოხდება ახალი ორგანიზაციისთვის გაწევრიანებაზე რეკომენდაციის მიცემა.

საბჭოს წევრებმა განიხილეს პლატფორმის მიერ მომზადებული პოლიტიკის დოკუმენტების ადვოკატირების საკითხი. ისინი შეთანხმდნენ, რომ საჭიროა პლატფორმის სახელით გაიგზავნოს ოფიციალური წერილი, რომლითაც შესაბამის სამინისტროებს კიდევ ერთხელ ეცნობებათ პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების შესახებ. წერილში ასევე უნდა დაფიქსირდეს თხოვნა იმის თაობაზე, რომ სამინისტროების წარმომადგენლებმა დაიწყონ ამ დოკუმენტებზე მუშაობა და ოფიციალური წერილით გამოხატონ თავიანთი პოზიცია პოლიტიკის დოკუმენტებში გამოთქმულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

წევრებმა იმსჯელეს ჯგუფის 2014 წლის სამუშაო გეგმის შედგენაზე. გადაწყდა, რომ თანაკოორდინატორები ელექტრონულად დააგზავნიან ყოველ თვეზე გაწერილ შეხვედრების ცხრილს და ჯგუფის წევრებს ექნებათ შესაძლებლობა შეიტანონ მათთვის სასურველი საკითხები. ენერგოეფექტურობის ფონდის წარმომადგენლის თქმით, რადგან ჯგუფის წევრები არ იზიარებენ მის მოსაზრებებს, ის არ მიიღებს მონაწილეობას სამუშაო გეგმის შედგენაში, თუმცა მხარს დაუჭერს ნებისმიერ ინიციატივას. თანაკოორდინატორმა ჯგუფის წევრებს შესთავაზა ასოცირების ხელშეკრულებასთან შესაბამისობაში მოამზადონ დოკუმენტი, რომელშიც მოცემული იქნება არასამთავრობო ორგანიზაციების ხედვა საქართველოს ენერგეტიკის განვითარებაზე. ჯგუფის მეორე თანაკოორდინატორის თქმით, სამინისტროებში იქმნება ტექნიკური ჯგუფები, რომლებიც ემზადებიან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერისთვის. კარგი იქნება თუ მესამე სამუშაო ჯგუფის წევრები ჩაერთვებიან ამ ტექნიკური ჯგუფების მუშაობაში. აღინიშნა, რომ პრემიერ-მინისტრისგან ამ ინიციატივაზე სიტყვიერი თანხობა უკვე მიღებული იქნა 30 დეკემბერს გამართულ შეხვედრაზე. ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ თანაკოორდინატორები გაგრძელებენ ამ მიმართულებით მუშაობას.

ორსაათიანი განხილვის შემდეგ ჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია